



30 აპრილი, 2020 წელი  
# 0172

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ  
კომისიას

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 და მე -3<sup>1</sup> პუნქტებისა და “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმედის“ სამაუწყებლო ეთერში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საინფორმაციო, საინფორმაციო-შემეცნებით, პოლიტიკურ თოქ-შოუებსა და გასართობ პროგრამებს;
2. შპს “ტელეიმედის” მიერ დაცულია სალიცენზიო პირობებისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები;
3. შპს “ტელეიმედის” დაფინანსების წყაროს საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოადგენდა:
  - 3.1. დამფუძნებლის შენატანი;
  - 3.2. საბანკო სესხი;
  - 3.3. ტელეეთერში რეკლამის განთავსებიდან შემოსული თანხები;
4. 2020 წლის 30 აპრილის მონაცემებით, შპს “ტელეიმედის” მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველ კომისიაში შემოსული იყო 4 (ოთხი) საჩივარი 3 არ დაკმაყოფილდა 2 გასაჩივრდა აპელაციაში (ერთი არ დაკმაყოფილდა და ერთი მიმდინარეობს).

1) 2019 წლის 25 მარტი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივარი  
(მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი - მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის ე) პუნქტი მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე კოდექსის მე-9 მე-12 მე-13 მე-15 და მე-19 მუხლების დარღვევათა შესახებ).

- 2019 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2) 2019 წლის 17 დეკემბერი - შპს „გაზეთი ბათუმელების“ საჩივარი (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 მუხლი, მე-15, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი და მე 19 მუხლი)  
- 2020 წლის 8 იანვარს საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გამოიკვეთა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-19 მუხლის დარღვევა, კერძოდ - პირს რომლის მიმართაც გამოთქმული იქნა ბრალდებები არ მიეცა ასკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება.

- გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო კომისიაში 2020 წლის 16 იანვარს;
- 2020 წლის 11 თებერვალს სააპელაციო კომისიამ ძალაში დატოვა 2020 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება.

3. 2020 წლის 1 იანვარი - მოქალაქე ირაკლი კაკულიას საჩივარი (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 მუხლი, მე-15, მე-16 მუხლის მე-4 პუნტი და მე 19 მუხლი)  
- საქმეში არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი პირის (ირაკლი კაკულია) მინდობილობა - ჩვენი წერილობითი მიმართვის მიუხედავდ მხარემ არ უზრუნველყო მისი მოწოდება, შესაბამისად არ მომხდარა საქმის განხილვა.

4. 2020 წლის 21 თებერვალი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივარი (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-15 მე-16-მე-4 პუნტი მე-19 და 21 მუხლის (მე-4 პუნტი) მუხლების დარღვევათა შესახებ).

- 2020 წლის 12 თებერვალს საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გ გამოიკვეთა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-19 მუხლისა და 21 მუხლის მე-4 პუნტის დარღვევები, კერძოდ: - პირს რომლის მიმართაც გამოთქმული იქნა ბრალდებები არ მიეცა ასკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება.
- გასაჩივრდა სააპელაცია კომისიაში - მიმდინარეობს.

დამატებით წარმოვადგენთ აუდიტის დასკვნას.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ლალიაშვილი

რწმუნებულების (რეგ. N: 200151417 ინდ. N: 42098779832620)  
საფუძველზე

